

ქართული საფოსტო მარკამ ევროპის მარკების კონკურსში მესამე ადგილი მოიპოვა

✘ ქართული საფოსტო მარკა „EUROPA 2018 – ბესღეთის ხიდი“ ევროპის მარკების კონკურსის მესამე ადგილის მფლობელი გახდა. კონკურსში 57 საფოსტო მარკა მონაწილეობდა, ხმის მიცემა კი ონლაინ სპეციალურ ვებგვერდზე მიმდინარეობდა. ინფორმაციას საქართველოს ფოსტა ავრცელებს.

ევროპის საფოსტო გაერთიანების „PostEurop“-ის ეგიდით ყოველწლიურად იმართება ევროპული მარკების კონკურსი, საკონკურსო თემას PostEurop-ის მარკების და ფილატელისტების სამუშაო ჯგუფი ირჩევს.

წევრანდელი კონკურსის თემა ხიდები იყო. შესაბამისად, საქართველოს ფოსტამ კონკურსში წარადგინა ქართული საფოსტო მარკა „EUROPA 2018 – ბესღეთის ხიდი“.

მარკაზე აღბეჭდილია XII საუკუნის ქართული კუდტურის მატერიალური ძეგრი ბესღეთის ხიდი, მას ასევე თამარის ხიდსაც უწოდებენ. ხიდი მდებარეობს სოხუმთან, მდინარე ბესღეთზე, ის ერთმადიანი თაღოვანი ხილია, სიგრძე 35 მ., სიმაღლე 8 მ., ნაგებია კირქვის ფილებით დულაბზე. თაღის ყოველ საპირვე ქვაზე ამოკვეთილია ქართული ასომთავრული ასოები, ხორღ დასავლეთ კიდეზე მოთავსებულია ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა – „ქრისტე მეუფეო ყოვერთა... ადიდე ორთავე შინა სუფევათა უძღვევი მეფეთა მეფე ბაგრათი“. ხილთან ადრე ბესღეთის ციხე იდგა, რომელიც ვიწრო ხეობაში ქაღაქის შემოსასვლელს მთის ტომების თავდასხმებისგან იცავდა. ხიდის თავთან ასევე შემონახული იყო მონუმენტური ქვა-სტელა ქართული ტექსტით, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისში დაიკარგა. ბესღეთის ხიდს მინიჭებული აქვს საქართველოს ეროვნული ძეგლის სტატუსი.

ცნობისთვის, ევროპული მარკების კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ „PostEurop“-ის წევრი ქვეყნის ეროვნული საფოსტო

ოპერატორს, რომელსაც აქვს უფლება სპეციალური საფოსტო მარკის გამოცემის მაიდენტიფიცირებელი სიმბოლოთი „EUROPA“.

საქართველოს ფოსტის ცნობით, საფოსტო მარკები „EUROPA“ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და მოთხოვნად მარკებს წარმოადგენს, რომელიც სპეციალურად იბეჭდება ევროპის საფოსტო ოპერატორების მიერ „PostEurop“-ის ეგიდით. პირველი საფოსტო მარკა სიმბოლოთი „EUROPA“ 1956 წელს გამოიცა და სწორედ ამ დროიდან ჩაეყარა საფუძველი ევროპული მარკების კონკურსს.